

*თინა შიოშვილი
ბსუ პროფესორი
თეონა კეკელიძე
ბსუ დოქტორანტი*

„ამირანიანის“ ტრანსმისია აჭარულ ვარიანტებში

აჭარაში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ოდითგან თავს იყრიდა მეგრულ-ჭანური, ტაო-კლარჯული, მესხურ-ჯავახური წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები, რასაც, ბუნებრივად, ორგანულად ერწყმოდა უახლოესი მეზობლების, განსაკუთრებით კი ბერძნების, რომაელების და სხვა ხალხთა არქაული და საინტერესო ტრადიციათა ელემენტებიც. ამ გარემოებამ რეგიონში სრულიად ბუნებრივად შექმნა მრავალფეროვანი და მდიდარი მასალა ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა და მსოფლმხედველობის ისტორიის შესასწავლად. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ხელშესახები და ღირებული უბანია ხალხური სიტყვიერება, რომელსაც საუკუნეთა სიღრმიდან მოაქვს უძველესი კოლხურ-იბერიული კულტურის დანაშრევები, გვახედებს გარდასულ ეპოქათა სულში.

მიუხედავად ამგვარი წინაპირობისა, ადრეულ ეპოქათა ფოლკლორული ჩანაწერების უქონლობა, ის გარემოება, რომ თავის დროზე ქრისტიანულმა რელიგიამ ბრძოლა გამოუცხადა წარმართულ იდეოლოგიას და საქართველოს ამ კუთხეში ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის ფაქტი აძნელებს უძველესი ზეპირსიტყვიერი შრეების შესწავლას.

აჭარის ზეპირსიტყვიერების უძველესი ძირების ძებნას მივყავართ ქართველი ხალხის ეთნოგენეზის ადრეულ საფეხურამდე, როცა ყალიბდებოდა კლდეზე მიჯაჭვული გმირის სახე, ხოლო ძირითად მოსაქმეობას ნადირობა წარმოადგენდა. ეს არის უძველესი მითოსური აზროვნების ხანა, რომლის წიაღიდანაც მომდინარეობს ჩვენი ეროვნული ეპოსის სიამაყე – ხალხური თქმულება ამირანიანის შესახებ, ანუ ე. წ. „ამირანიანი“.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან „ამირანიანის“ თქმულების 300-ზე მეტი ვარიანტია დაფიქსირებული. ამ თქმულებას მეტ-ნაკლებად იცნობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე ორი ვერსიის (კოლხური და იბერიულ-კავკასიური) სახით, რომელთა გაფორმებაც წინ უსწრებდა ანტიკურ ეპოქას.

ამირანიანის ეპოსმა მრავალი ქართველი გამოიარა და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის მსოფლმხედველობის მიხედვით გადამუშავდა, ანუ განიცადა ტრანსმისია – მის მრავალრიცხოვან ვარიანტებში აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა ეპოქათა კვალი. ამირანი ხან ნადირთპატრონი ქალის პირმშოა, ხან – უმანკოდ ჩასახული გმირი, ხან – უსახელო მონადირის სიყვარულის ნაყოფი, ხან კი – უბრალო გლეხთა შორის აღზრდილი ყრმა.

ამირანის თქმულებას განსაკუთრებული ადგილი აქვს არამარტო ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ტრადიციის თვალსაზრისით, არამედ ისტორიის, სარწმუნოების, სხვადასხვა ეპოქათა მსოფლმხედველობის შესასწავლადაც. ძეგლში დაუნჯებულია მისი შემოქმედი ხალხის ისტორია, სახელმწიფოებრიობა, სულიერება და ყოფიერება, ზნე-ჩვეულებები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.

ამირანოლოგიის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორში შემონახულმა ნიმუშებმა და, ბუნებრივია, აჭარულმა ნარატივმაც. 1958 წელს, ამირანიანის პრობლემების კვლევისას, განიხილავდა რა თქმულების გავრცელების არეალს, ცნობილი ამირანოლოგი – პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი წერდა: „ამირანის თქმულება ამ მხარეში (აჭარაში – ავტ.) ჯერჯერობით არ არის ჩაწერილი... ადგილობრივი სიტყვიერების მცოდნეები იმასაც ამბობენ, რომ აჭარაში ამირანის წრის მონათხრობი არ არისო, მაგრამ ეს მოსაზრება ნაკლებ დასაჯერებელია. ჩვენს ეჭვს ის გარემოება აძლიერებს, რომ აჭარაში, კერძოდ ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათში, ჩაწერილი არის ერთი ძველთაძველი თქმულება „რომპაპის“ სახელწოდებით, რომელიც იმერული „როკაპის“ ვარიანტია და ამირანის თქმულების ანალოგიურ მოტივებს შეიცავს; მათ შორის საერთოა გმირის მიჯაჭვის მოტივი“ (ჩიქოვანი 1959, 41).

მ. ჩიქოვანს მხედველობაში ჰქონდა მკვლევარ ჯემალ ნოლაიდელის მიერ 1935 წელს ჩაწერილი თქმულება, რომელიც ფორმით უფრო ჯადოსნურ ზღაპარს განეკუთვნება, შეიცავს მოლაპარაკე თავის ქალისა და მისი საარაკო თავგადასავლის მოტივს (ნოლაიდელი 1940, 160). ამ ნარატივის თანახმად, თავის ქალის დანაფქვავისაგან ფეხმძიმდება ქალი და შობს მითოსურ არსებას, რომელიც ბუმბერაზი გაიზარდა. მას „ჯერჯალს (რომპაპს) ეტყოდნენ“. გოლიათი რომპაპი ვერაფრით რომ ვერ დააკავეს, ზღვის ფსკერზე დააბეს პალოზე და შეუჩინეს „მაზზაკუნაი ჩიტი“. რომპაპი ცდილობს თავის განთავისუფლებას, აქანებს პალოს, მაგრამ, მოთხრაზე რომ მიიყვანს, მიფრინდება ჩიტი, დაჯდება პალოზე და დაიწყებს კუდის ქანქარს; რომპაპს ჰგონია, პალოს ასობსო, აიღებს უროს და შემოჰკრავს, ჩიტი გაფრინდება, ურო კი პალოს მოხვდება და კვლავ ღრმად ჩაასობს. ასე რომ, თავადვე იბამს თავს გოლიათი რომპაპ-დედჯალი. დასასრულს ნათქვამია: „იი რომ ეიხსნას, ქვეყანას დასწყვეტს, მარა, ღმერთის ბრძანებით, ქრისტე მოკლავს იმას“ (ნოლაიდელი 1940, 60).

მ. ჩიქოვანი აჭარულ რომპაპს ამირანის ორეულად სახავს და ორივეს დამოუკიდებლად წარმოშობილ პერსონაჟებად მიიჩნევს, რადგან აჭარულ რომპაპს ჯადოსნური ზღაპრის მოტივები ახასიათებს (სხეულს მოცილებული თავისა და უმანკოდ ჩასახვისა). აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის: „აჭარული რომპაპი ისე ორგანულად არის დაკავშირებული ამ მოტივთან (სხეულს მოცილებული თავის მოტივთან – ავტ.), რომ მათი ერთმანეთისაგან დაცილება ძნელია. ამ მოსაზრებითაც როკაპი არ შეიძლება დეფორმირებული ამირანი იყოს...“ (ჩიქოვანი 1959, 195).

ის ფაქტი, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გასული საუკუნის 40–იან წლებში დასტურდება ამირანის ორეული, მ. ჩიქოვანს იმედს აძლევდა, რომ საქართველოს ამ კუთხეში „ამირანიანის“ ვარიანტები უნდა აღმოჩენილიყო. მართლაც, როგორც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივზე დაკვირვება ცხადყოფს, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში „ამირანიანი“ საკმაოდ ყოფილა გავრცელებული – დაფიქსირებულია მრავალი თქმულება, რომელთა უმრავლესობაც ამირანის ორეულს „რომპაპს“ ან „დედჯალს“ უწოდებს; ყველა მათგანი ადასტურებს, რომ ლომპაპი (რომპაპი), იგივე დედჯალი, უმანკოდ არის ჩასახული, იგი აუცილებლად ვაჟია და საარაკო ფიზიკური ძალა გააჩნია, რის გამოც მას ჯაჭვით დააბამენ; ზოგიერთი გადმოცემა პირდაპირ იწყება თხრობით დაბმული რომპაპის ახნის მცდელობაზე და არაფერს ამბობს მის წარმოშობასა თუ დაბმის მიზეზზე. ხალხის რწმენით, რომპაპმა უნდა აიშვას, რასაც, ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ყველაფრის განადგურება მოჰყვება (ბსუნბიფა 2, 112–113); სხვა თქმულებით, რომპაპი სამართალს გაარჩევს (ბსუნბიფა 3, 87–89).

1959 წელს აჭარაში, სოფელ ახოში, ჯ. ნოლაიდელის მიერ ჩაწერილი ვარიანტის თანახმად, დედჯალ–ოხრუჯი ზღვაში ერთ კუნძულზე რკინის პალოზეა დაბმული ჯაჭვით; მასთან მერცხლები მიფრინავენ ხოლმე და დედჯალი გამუდმებით ერთსა და იმავეს ეკითხება, ქალები ცხენზე შეჯდნენ თუ არაო. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ იგი ამბობს: „– ნელ–ნელა მოდის ჩემი გაშვების დროვო“. თქმულების ამ ვარიანტშიც დასტურდება ხალხის რწმენა, რომ იგი აუცილებლად აიშვებს თავს, რის პირობადაც ქალებისათვის შეუფერებელი საქციელი – ცხენზე შემოჯდომაა დასახული (ბსუნბიფა 4, 18). ამ მოტივის გენეზისის გასარკვევად საინტერესოა ერთ–ერთი გადმოცემა დედჯალზე, რომელიც 1959 წელს არის ჩაწერილი შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში. გადმოცემა მოგვითხრობს: შუღეიბ ფეიღამბერს გზა დაბნევიდა და ერთი დერვიშისათვის უთხოვია, მიესწავლებინა. დერვიშს უთქვამს, გასწავლი, თუ იმ მაღალ მთაზე ახვალ და ჩამოხვალო. მთის ძირს რომ მიუახლოვდა, შუღეიბმა დაინახა სინათლე, რომელსაც გარს ხალხი ეხვია. ახლოს რომ მივიდა, ნახა, რომ სინათლის წყარო იყო გოგო, რომელიც შორიდან ანათებდა, ახლოდან კი შავი და ჭრელი იყო. გაუკვირდა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა და გზა განაგრძო. მთაზე რომ ავიდა, დაინახა, რომ დედჯალი ჯაჭვით იყო მიბმული. დედჯალმა ჰკითხა, ქალები თუ შესხდნენ ცხენზეო. შუღეიბმა დადებითი პასუხი გასცა. „დედჯალს ძალიან გახარებია. შემდეგ შეკითხებია დედჯალი, მუხამედ ფეიღამბერი თუ დეიბადაო. კიო, – უპასუხა შუღეიბმა. ეს ეწყინა, თურმე, დედჯალს“. უკან დაბრუნებულმა შუღეიბმა ყველაფერი უამბო დევრიშს და თან დაამატა, ვერაფერი გავიგეო. ნანახი და გაგონილი დევრიშმა ასე ახსნა: „ ის გოგო, შორიდან რომ ანათებდა და ახლოდან შავი იყო, არის ქვეყანა. ეს ქვეყანაც ამფერია: შორედან კაი, ლამაზი ჩანს, ახლოს თუ დოუკვირდი, ჭრელი და შავია. კითხვები რომ მოგცა დედჯალმა, ეს იმას ნიშნავს, რომ

ძველი ქალები ცხენზე ვერ ჯდებოდნენ; რომ გკითხა, ცხენზე ჯდებიან თუ არაო და გუუხარდა, რომ უთხარი, ჯდებიანო, მან მიხდა, რომ ყიამეთი ახლოვდებაო; რომ ეწყინა მუხამედ ფეილამბერის დაბადება, ეს იმას ნიშნავს, რომ იფიქრა, ეს ცოტათი დააგვიანებს ყიამეთსო“ (ბსუნბიფა 5, 99–100).

როგორც ჩანს, დედჯალ–რომპაპის, როგორც ავი, ბოროტი არსების, განთავისუფლება საზოგადოებრივი ანომალიის ტოლფასად აღიქმება: ის მხოლოდ მაშინ აიშვებს, როცა დაიწყება სოციუმის ზნეობრივი დაცემა, როცა ქალები მათთვის შეუფერებელ საქციელს ჩაიდენენ და ამით დაარღვევენ ტრადიციულ, საუკუნეობრივი გამოცდილებით შემუშავებულ ზნეობრივ ნორმებს.

აქარის ფოლკლორულ ყოფაში დედჯალ–რომპაპზე არსებულ თქმულებათა უმეტესობის მიხედვით, ეს მითოლოგიური პერსონაჟი სიახლოვეს ავლენს ამირანთან ზოგიერთი მოტივის თანხვედნილობით და ამიტომაც უწოდა მ. ჩიქოვანმა ამირანის ორეული, თუმცა, იქვე გააიგივა საქართველოს სხვა კუთხეების თქმულებათა დემონოლოგიურ პერსონაჟ როკაპთან. ამირანისა და იმერული თქმულების როკაპის ფუნქციათა აღრევის შესახებ აზრი გამოთქვა პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში (ხახანაშვილი 1904, 31). ამ პრობლემის შესახებ პროფესორი იოსებ მეგრელიძეც მიუთითებდა: „... რომპაპი მიჯაჭვულ ამირანს მოგვაგონებს. შეცდომაა, რომ მას ზოგიერთები როკაპთან აიგივებენ. რომპაპი და როკაპი განსხვავებული სულებია. როკაპი აქარლის წარმოდგენითაც ისეთივეა, როგორც – გურულის. იგი, ძველი რწმენით, ქალია, რომპაპი კი უეჭველად კაცია“ (მეგრელიძე 1971, 21).

1959 წელს ჯემალ ნოღაიდელს სოფელ ცხმორისში ჩაუწერია ამირანის თქმულების შედარებით სრულყოფილი ვარიანტი (ბსუნბიფა 4, 43–49), რომელიც თითქმის იმეორებს ამირანის კლასიკური ვარიანტების ეპიზოდებს; იმავე წელს სოსო ბერიძეს სოფელ დარჩიძეებში ჩაუწერია თქმულება სათაურით „დედჯალ–ოხრუჯი“ (ბსუნბიფა 5, 94–99), რომელიც, აგრეთვე, „ამირანიანის“ ერთ–ერთ სრულყოფილ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს. ეს ვარიანტები საუკეთესო მაგალითებია „ამირანიანის“ ტრანსმისიისა.

ცხმორისული თქმულების ამირანი (დედჯალი), ზოგადქართულის მსგავსად, მონადირისა და კლდის ოქროსთმიანი ასულის პირმშოა; იგი დროზე ადრე დაიბადა, რადგანაც მონადირის ცოლმა მის ქმართან მძინარე ქალს თმა შეაჭრა. დედამ მონადირეს ჩააბარა ახალშობილი და დაუბარა, ირმის რძით გაზარდო. მონადირემ ჩვილი ირმისავე ტყავში გაახვია. „მონადირეს ყავს შვილები: ბადრი და იესოფი... ამ მესამე შვილს დაარქვა დედჯალი. სამი ძმები არიან ახლა, დედჯალი ყველაზე უმცროსია, მარა პირველი გადის დივებთან ბრძოლაში“.

თქმულება თანმიმდევრობით მოგვითხრობს ძმების მიერ კოშკში მკვდარი გოლიათის ნახვაზე, მის დამარხვაზე, სამთავიანი დევის მოკვლასა და ყამარ ქალის ამბის შეტყობაზე, დევის თავიდან ამოსული ჭიების დანდობასა და მის სავალალო შედეგზე, ამირანის მიერ ყამარის

მოტაცებასა და ყამარის მამასთან შებმასა და გამარჯვებაზე და ა. შ. აჭარული ვარიანტის მიხედვითაც, ამირანი ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირია; იგი ხალხს ემსახურება: „მერე ამირანმა შეუდგა ჭედობას. ვერავინ ვერ მუუგო. მერმე ტყეში იაბან (ბოროტ) ხალხს ებრძოლა. დიდხანს ებრძოლა“. აშკარაა, ცხმორისულმა ვარიანტმა ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც შემოინახა ამ მითში წარსულში, ალბათ, ვრცლად ასახული საგმირო–საფალავნო კულტი.

თქმულების დასასრულს, ზოგადქართული ვარიანტების მსგავსად, ამირანი მიდის ნათლიასთან (მუსა ფეილამბერთან) და სთხოვს, ვიჭიდაოთო. ნათლიამ გაკადნიერებული გმირი მის მიერ დასობილ ჯოხზე დააბა და უთხრა: „მანამ ქვეყნის დაქცევა არ მოახლოვდება, მანამ შენ აქნა იყოვო... ის დროები რომ დაახლოვდება, მაშინ ეიშვი და მექქეში ჩადიო“. ამას მოსდევს ამირანის მიერ თავის დახსნის ამაო მცდელობა. „ამირანი პასალზე რომაა დაბმული, პასალს აქანებს, აქანებს და ცოტათი რომ მეიშვებს, ჩიტი მივა, დაჟდება პასალზე და დეიწყებს ტანტრუქს. ამირანთან დევს დიდი ურო. ამას რუმ დეინახავს, გულს მუუვა. ეილებს უროს და ჩიტს დაარტყამს. ჩიტი გაასტრობს, ურო დიეცემა პასალს და პასალის თავი აღარ გამოჩინდება, ისე წავა მიწაში“.

ამირანის თქმულების ცხმორისული ვარიანტი მრავალმხრივ არის საინტერესო. დასაწყისში ამირანი სამართლიანი, სიკეთისათვის მებრძოლი გმირია; ბოლოს კადნიერდება, ნათლიასთან ჭიდილს გადაწყვეტს და ისჯება კიდეც, რადგან ამ ეტაპზე იგი ბოროტ, ავ სულად ჩანს. „იქნობამდე ბევრი ხალხი, სახელმწიფოები ამწვალა... ამირანი ჯაზების მთავარია. ჯაზები ღამეში ფრინავენ, მასთან მიდიან და არჩენენ მას“.

საგულისხმოა ისიც, რომ თქმულების დასაწყისში მთქმელი თავის გმირს ამირანს არ უწოდებს, მას დედჯალად მოიხსენიებს, მხოლოდ დევებთან შებმის ეპიზოდის თხრობისას აგონდება გმირის სახელი: „ამირანს გადაყლაპავს ერთი ჭია (უცხად მოაგონდა მომთხრობს – ჩამწერი), ა მ ი რ ა ნ ი ჰ ქ ვ ი ა დ ე დ ჯ ა ლ ს ა“.

ცხმორისულ ამირანის თქმულებას ახლავს სრულყოფილი პასპორტი, სადაც მითითებულია, რომ „... გაუგონია ძველებისაგან“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის (1959 წ.) 70 წლის მოხუცი, რომელსაც მშობლიურ ენაზე წერა–კითხვა არ შეეძლო, სხვა წიგნიერი წყაროდანაც ვერ ისარგებლებდა და, თუ ასე იქნებოდა, არც ამის აღნიშვნას დაერიდებოდა. ამასთანავე, 50–იან წლებამდე საქართველოში არსებული ამირანის თქმულების დაბეჭდილი ვარიანტები სულ თითებზე ჩამოსათვლელია და ფრაგმენტული ლექსებით ანდა შერეული სახით არის წარმოდგენილი. ცხმორისული ვარიანტი კი პროზაულია და, საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული ვარიანტებისაგან განსხვავებით, აშკარად ეტყობა მუსლიმური რელიგიის კვალიც.

სოფელ დარჩიძეებში დაფიქსირებული „ამირანიანის“ ვარიანტის მიხედვითაც, დედჯალ–ოხრუჯი (იგივე ამირანი) დროზე ადრე იბადება; დედამისს, რომელსაც „შეითანი“ მიჰპარვია და

ბავშვი ჩაუსახავს, მუცელს გაუჭრიან. ახალშობილს იშვილებს ქალი, რომელსაც ორი შვილი ჰყავს – იუსუფი და ბადრი.

ამირანის ეპოსის სხვა ვარიანტების მსგავსად, აჭარული ვარიანტიც მოგვითხრობს ძმების ბრძოლას სამთავიან დევთან, რომელსაც ცამცუმი მოუკლავს და ახლა მის შეჭმას აპირებს. ამ ეპიზოდს მოსდევს დევის თავიდან ამოსული ჭიანჭველების დანდობის, დევების ქალთან ამირანის გამოლაპარაკებისა (აქ დევის ქალი სომეხ ანკლიას უწოდებს ამირანს) და დევების დახოცვის, გველეშაპებადქცეულ ჭიანჭველებთან ამირანის ბრძოლისა და შავი გველეშაპის მიერ მისი გადაყლაპვის, ძმების დახმარებითა და ალმასის დანის წყალობით ამირანის გათავისუფლების, დევისაგან მითითებული ქალის მოტაცების, ქალის მამის ჯართან შებმისა და ქალის დახმარებით დამარცხების ეპიზოდები და ბოლოს – „ქრისტიანის ღმერთთან“ დაჭიდების სცენა, რასაც გმირის დაბმა მოსდევს. ა მ ი რ ა ნ – დ ე დ ჯ ა ლ ი ს წვალება და პალოს ჩასმა–გამაგრება მისივე ხელით ამ ვარიანტისთვისაც ზოგადქართულის იდენტურია. თქმულების დასასრული კი მსგავსია აჭარაში ფართოდ გავრცელებული „დედჯალ–ოხრუჯის“ ციკლის თქმულებათა დასასრულისა, სადაც ნათქვამია, რომ დედჯალი (იგივე ამირანი), რომელიც დაბმულია „საქართველოს მთებზე“, ასე იქნება ქვეყნის დაქცევამდე. იგი ავ, ბოროტ არსებად წარმოიდგინება, რომელიც ყიამეთამდე 50 წლით ადრე თავს აიშვებს და ქვეყნად მრავალ სიავეს ჩაიდენს, „ვინცხაი შეასწრობს ჯამეში, ის გადარჩება“. ხალხის რწმენით, დედჯალ–ოხრუჯს ღისა ფეიღამბერი (იესო წინასწარმეტყველი) მოკლავს.

საგულისხმოა, რომ აჭარული „ამირანიანის“ ვარიანტები არა მარტო ცალკეული ეპიზოდების თანხვედრილობას ავლენს ზოგადქართულთან, არამედ – დიალოგებისა და პერსონაჟთა ხასიათების იდენტურობითაც გამოირჩევა. ამდენად, აჭარის ფოლკლორში ამირანის თქმულების დაფიქსირება და დედჯალ–რომპაპზე არსებულ გადმოცემათა სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ ისტორიულად აჭარაშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, უნდა არსებულებოდა ამირანის სრულყოფილი ვარიანტები; ამას ისიც ადასტურებს, რომ მის მოსაზღვრე გურიაში ამირანის თქმულების ათეულობით ვარიანტია დამოწმებული, ხოლო მესხეთ–ჯავახეთში, რომელთანაც აჭარის მოსახლეობის ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული ყოფა ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, ამირანის თქმულების მრავალი ღირებული ვარიანტი მოგვეპოვება. მაშ, რამ განაპირობა, რომ აჭარის ფოლკლორულ სინამდვილეში ამირანის თქმულება ძალზე მწირად, უმთავრესად ორეულის დონეზე და ისიც ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი და უმრავლეს შემთხვევაში დავიწყებულია ჩვენს ეროვნულ სიამაყედ ქცეული ეპოსის შთამბეჭდავი გმირის სახელიც? სამწუხაროდ, ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის ხანაში, როცა მიზანმიმართულად იდევნებოდა ყოველგვარი ეროვნული, იკრძალებოდა ქრისტიანული წეს–ჩვეულებანი, ამირანის თქმულების ცალკეული ეპიზოდები დავიწყებას მიეცა. ეს უსათუოდ იმანაც

განაპირობა, რომ უადრესად ეროვნულ-პატრიოტულ, დაუმორჩილებლობის სულით გაჟღენთილ არქაულ თქმულებაში ქრისტიანული შრეებიც აშკარად შეიმჩნეოდა. ალბათ, ამან გამოიწვია აჭარაში „ამირანიანის“ მითოლოგიური სარჩულის რღვევა, გმირის სახის თანდათანობითი დავიწყება-დაკნინება და თანამედროვეთა მეხსიერებაში უკვე დემონურ პერსონაჟად (ლომპაპი//დედჯალი) ტრანსფორმაცია. დღეს აღარავინ დაობს იმის თაობაზე, რომ ამირანის თქმულება უძველესი ქართული მითია, ხოლო საკაცობრიო ცივილიზაციის პარალელურად მითოსური სამყაროს დაშლა-დანაწევრება, ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენით მითურ-წარმართული პერსონაჟების დეგრადირება, დემონურ არსებებად ქცევა და ცალკეული ტრანსფორმაციები მსოფლიოს ფოლკლორულ სინამდვილეში საყოველთაოდ აღიარებული მოვლენაა, რომ „იქ, სადაც მითოსს საფუძველი გამოეცალა, იგი ან ლეგენდას, საგმირო ეპოსს, ან ზღაპარს მიეკედლა, ანდა გადაშენების, დაკნინების გზით მიდის“ (ვირსალამე 1960, 348). ბუნებრივია ამირანის თქმულების ვარიანტთა ჩამოყალიბება საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, რის გამოც მასში მეტ-ნაკლებად დაილექა თითქმის ყველა ეპოქის მსოფლმხედველობა (შოიშვილი 2007, 53), რამაც მისი ტრანსმისია გამოიწვია; „ამირანიანის“ აჭარულმა ვარიანტებმაც მუსლიმთა წმინდა წიგნის – ყურანის ჰადისების გავლენა განიცადეს, შეერწყნენ ცალკეულ მოტივთა თანხვედნილობის გამო (შოიშვილი 2004, 184). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით და სათანადო მასალებზე დაყრდნობით ბოლოდრონდელი კვლევებით დასტურდება, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში „ამირანიანი“ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, რასაც ადასტურებს ფოლკლორულ არქივებში დაცული თქმულებანი, რომლებიც ეხება სწორედ ამირანის ორეულს – „დედჯალს“, იგივე „დედჯალ-რომპაპს“, ანუ, „დედჯალ-ოხრუჯს“; ეს მითოსური პერსონაჟი, აჭარელ მუსლიმთა რწმენით, ბოროტი სულია, რომელზედაც ვრცლად მოგვითხრობენ ე. წ. „ჰადისები“, ანუ ყურანის აპოკრიფები.

სწორედაც ყურანისეულ ჰადისებში ვხვდებით წარმართული ეპოქიდან შემორჩენილ ამირანის სახეს; ზოგიერთი ვარიანტი დედჯალს ამირანად მოიხსენიებს და მასზე დაწყებულ თხრობას ტრადიციული „ამირანიანის“ კალაპოტში, მისივე პერსონაჟების თავგადასავლების გადმოცემით, განაგრძობს. ყოველივეს გათვალისწინებით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ისტორიულად აჭარაში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, უნდა არსებულიყო „ამირანიანის“ ტრადიციული, სრულყოფილი ვარიანტები; ის ფაქტი კი, რომ აჭარის ფოლკლორულ სინამდვილეში ამირანის თქმულება მაინც ორეულის დონეზეა და ძირითადად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, ერთის მხრივ ამ კუთხის ისტორიულ ძნელბედობაში უნდა ვეძიოთ, როცა ოსმალთა ბატონობის ხანაში მიზანმიმართულად იდევენბოდა ეროვნულ-პატრიოტული იდეალები და ქრისტიანული იდეოლოგია, რის შედეგადაც მოხდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ეპიკური გმირის სახის ტრანსმისია; დავიწყებას მიეცა ეპოსის ზოგიერთი ეპიზოდი და

გაუთანაბრდა ყურანისეულ დემონურ პერსონაჟს (დედჯალს//რომპაპს), რომელიც მუსლიმთა მტერია, ქრისტიანია (შიოშვილი 2010, 389).

მართალია, მიჯაჭვული გმირის სიუჟეტმა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალი ქართველი გამოიარა და მისი ტრანსფორმაცია ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, მაგრამ მაინც საკმაოდ შემორჩა ისეთი ვარიანტები, რომელთა მიხედვითაც სიუჟეტი ტრადიციული მითოსური ეპოსის ჭრილში ვითარდება იმავე (ზოგადქართული) პერსონაჟებითა და ძირითადი ეპიზოდებით; მიუხედავად ყურანის აპოკრიფთან შეხებისა და გარკვეული ტრანსმისიისა, „ამირანიანის“ აჭარულ ვარიანტებში მაინც კარგად იკითხება ქართველური მოდგმის ისტორია, სახელმწიფოებრიობა, ზნე-ჩვეულებანი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი, თეიმურაზ. 1948. „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“, СПБ.;
2. ბსუნბიფა – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, საქმე #45;
3. იქვე, საქმე #27;
4. იქვე, საქმე #26;
5. იქვე, საქმე #21;
6. იქვე, საქმე #43;
7. ვირსალაძე, ელენე. 1960. „მითი“. კრებულში „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტ. I, თბ.;
8. ნოლაიდელი, ჯემალ. 1940. „აჭარის ხალხური სიტყვიერება“, ტ. II, ბათ.;
9. მეგრელიძე, იოსებ. 1971. „ჯემალ ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები“, წ. I, ბათ.;
10. ჩიქოვანი, მიხეილ. 1959. „ქართული ეპოსი“, წ. I, თბ.;
11. ჩიქოვანი, მიხეილ. 1971. „მითოლოგიური ლექსები და მათი კლასიფიკაცია“, – წიგნში „ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები“, თბ.;
12. ხახანაშვილი, ალექსანდრე. 1904. „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ტ. I, თბ.;
13. შიოშვილი, თინა. 2004. „ამირანიანი“ აჭარის ფოლკლორში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათ.;
14. შიოშვილი, თინა. 2007. „ხალხური სიტყვიერება“ – კოლექტიურ მონოგრაფიაში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, ტ. I, თბ.;
15. შიოშვილი, თინა. 2010. „დედჯალის ციკლის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათ.